

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების რეფორმის პროექტი  
”ილია ჭავჭავაძე”. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

# 2005-07

ანგარიში

თბილისი 2007

## ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი შეიქმნა 2006 წლის აპრილში (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №357) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების რეფორმის პროექტ ილია ჭავჭავაძის ფარგლებში. მანამდე ცენტრის ფუნქციებს ახორციელებდა პროექტ ილია ჭავჭავაძის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების შემმუშავებელი ჯგუფი.



### ცენტრის მიზნები

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ორიენტირებულია საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეების განათლების ხარისხის ამაღლებაზე.

### ცენტრის მიზნებია

- ა) ეროვნული სასწავლო გეგმის მომზადება, პილოტირება და დანერგვის ხელშეწყობა;
- ბ) საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ეროვნული შეფასებების სისტემის შემუშავება, დანერგვა, ეროვნული და სხვა შეფასებების განხორციელება;
- გ) სახელმძღვანელოების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის დადგენა და რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭება.

### ცენტრის სტრუქტურა

ცენტრის თანამშრომლები არიან მოქმედი და ყოფილი მასწავლებლები, სასწავლო გეგმების შედგენის გამოცდილი ექსპერტები, მასწავლებლების წვრთნების ექსპერტები და სხვ. ცენტრის თანამშრომლები მუდმივად იმადლებენ საკუთარ კვალიფიკაციას და ორიენტირებულები არიან საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გაზრდაზე.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ორიენტირებულია ხარისხიან მუშაობაზე, მუდმივად აწარმოებს საკუთარი საქმიანობის შეფასებას და ნერგავს ხარისხის მართვის სისტემებს. ცენტრი ფლობს ხარისხის მართვის ISO 9001:2000 სტანდარტის შესაბამის სერტიფიკატს.

### პარტნიორები

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმოებისას. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ინსტიტუტთან და ცენტრთან: გამოცდების ეროვნული ცენტრი, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, ფონდი ირმის ნახტომი, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა და სხვ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი საქმიანობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ესენია: მსოფლიო ბანკი, ნორვეგიის მთავრობა, იუნისეფი და სხვ.

### საკონტაქტო ინფორმაცია

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

დიმიტრი უზნაძის 52  
თბილისი, 0102  
საქართველო

ტელ. (99532) 957988  
ელ.ფოსტა [info@ganatileba.org](mailto:info@ganatileba.org)  
ინტერნეტის გვერდი [www.ganatileba.org](http://www.ganatileba.org)

## შინაარსი

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი .....	2
წინასიტყვაობა .....	4
2005-07 წლები .....	5
შესავალი .....	5
ეროვნული სასწავლო გეგმებისა შემუშავება .....	7
ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება .....	8
საპილოტე სკოლების შერჩევა .....	8
ადამიანური რესურსების მომზადება .....	9
საპილოტე სკოლების ტრენინგების თემებიას 2005-06 და 06-07 სასწავლო წლებში .....	10
სახელმძღვანელოების შემუშავება .....	11
მნიშვნელოვანი ცვლილებები სახელმძღვანელოების შინაარსში და აგებულებაში .....	14
სახელმძღვანელოები არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის .....	15
ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა .....	16
მასწავლებლების მომზადება ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვისთვის .....	16
დიალოგი .....	17
ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კვლევა და მონიტორინგი .....	18
ინკლუზიური განათლების დანერგვა .....	19
სხვა პროექტები .....	20
სკოლების ბიბლიოთეკების შევსების პროექტი .....	20
ფრინველის გრიპის პრევენცია .....	20
საექსკურსიო სასწავლო გეგმები .....	20
საგანმანათლებლო ფილმების სერია .....	21
ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ძირითადი თანამშრომლები .....	22
ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის აქტივობების ბიუჯეტი .....	24

დღეს ისე, როგორც არასდროს, საქართველოში მწვავეა მომავალი თაობის განათლების საკითხი. განათლების რეფორმა საქართველოში, რომელიც აქტიურ ფაზაში შევიდა 2004 წლიდან სრული ინტენსივობით მიმდინარეობს. განათლების სისტემის მოდერნიზების პროცესი მოიცავს ყველა საფეხურსა და რგოლს, მიზნებს, კონცეპტუალურ მიდგომებს, რესურსებს, ინსტრუმენტებსა და ადამიანების განწყობებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ცვლილების გული ეროვნულ სასწავლო გეგმაშია განთავსებული. სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს იმ აუცილებელს, რაც განაპირობებს მასწავლებლების მიდგომებს, სახელმძღვანელოების სტრუქტურასა თუ შინაარსს, კომპიუტერული პროგრამების შექმნას, სკოლებში სივრცის მოწყობას და აღჭურვას, მოსწავლეების მოტივაციას და მშობლების აქტიურობას, მისაღებ გამოცდებს, დამრიგებლის მუშაობას და სხვ.

ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობა თავისთავად განაპირობებს მისი შექმნის პროცესში მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართვის აუცილებლობას. 2005-07 წლები სწორედ ამით არის განსაკუთრებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის საქმიანობის განხილვისას. ამ წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა საქართველოში მრავალი ათასი მასწავლებლის უშუალო ჩართვა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და მასში შემავალი პროგრამების შემუშავებაში. ათობით ადამიანი ჩაერთო პარალელურად ახალი სახელმძღვანელოების შექმნასა და მათ გამოცდაში. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის საქართველოს ასი საპილოტე სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და დირექციას, რომლებმაც პირველებმა დაიწყეს ახალი სასწავლო გეგმის დანერგვა. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოში მოღვაწე იმ გამომცემლობების დამსახურების აღნიშვნა, რომლებიც ახალი სახელმძღვანელოების შექმნაში ჩაებნენ. მათ წარმატებით დაძლიეს მრავალი სიძნელე და, საბოლოო ჯამში, ახალი, საინტერესო, გამართული და, რაც მთავარია, სასარგებლო სახელმძღვანელოები შექმნეს ახალი სასწავლო გეგმების შესაბამისად.

2007-08 სასწავლო წელს გრძელდება ახალი სასწავლო გეგმის დანერგვა. წინა წლის გამოცდილების გაზიარება და ეს ანგარიში, იმედი გვაქვს, რომ ამ წელიწადში დაგვეხმარება მრავალი პრობლემის გადაჭრაში.

პატივისცემით

სიმონ ჯანაშია

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი  
თბილისი, ივნისი, 2007 წელი

**შესავალი**

ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევ საშუალებებიდან სხვადასხვა მნიშვნელოვან მექანიზმებს შორის გულისხმობს ეროვნულ სასწავლო გეგმას. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს იმ სწავლებისა და სწავლის შედეგებს, რომლის მიღწევასაც უნდა ემსახურებოდეს საქართველოში არსებული ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სწავლისა და სწავლების პრინციპები, სადაც აღწერილია ის ძირითადი ორიენტირები, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცხოვრებაში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ განათლების მიღებისას; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ძირითადი მიმართულებები;
- საათობრივი ბაძე, საგნების სწავლებისას რეკომენდებული საათების განაწილების სქემა ყველა კლასისთვის და სხვადასხვა სპეციფიკის სკოლისთვის;
- საგნობრივი პროგრამები, სადაც კონკრეტული საგნობრივი ჯგუფის და საგნის მიზნები, აღწერილია ის შედეგები, რომლებიც უნდა იქნას მიღწეული თითოეული საგნის შესწავლისას.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დანერგვა დაგეგმილია ეტაპობრივად. დანერგვის ძირითადი ეტაპებია:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის საცდელი ვარიანტის შემუშავება
2. ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდა და განხილვა
3. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა

ეროვნული სასწავლო გეგმის საცდელი ვარიანტის შემუშავება ხდება სასწავლო გეგმების სპეციალისტების ჯგუფებისა და მათი საკონსულტაციო ჯგუფების მეშვეობით. სასწავლო გეგმების სპეციალისტების ჯგუფები ძირითადად დაკომპლექტებულია სკოლაში მუშაობის გამოცდილების მქონე საგნობრივი სპეციალისტებით. თითოეულ საგნობრივ ჯგუფთან არსებობს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შედგება საგნის ან საგნობრივი ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით მეცნიერებისგან, მასწავლებლებისგან, გამომცემლებისგან და ზოგიერთ შემთხვევაში მშობლებისგანაც. საკონსულტაციო შეხვედრებზე ძირითადად მიმდინარეობს მსჯელობა საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების ორგანიზების სქემებზე და საგნობრივ პროგრამებზე. ეროვნული სასწავლო გეგმის საცდელი ვარიანტი ეგზავნება საქართველოს ყველა სკოლას განსახილველად. განხილვის შედეგად, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს ეგზავნება წინადადებები სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით. ამ წინადადებების გათვალისწინებით ხდება საცდელი ვარიანტის დახვეწა და გამოცდისთვის მომზადება.

2004 წლის დეკემბერში შემუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი ვარიანტი, რომელიც საქართველოს სკოლებს დაეგზავნათ განსახილველად. ეროვნული სასწავლო გეგმის ეს ვარიანტი შეიცავდა სწავლისა და სწავლების პრინციპებს და საგნობრივ პროგრამებს I-VI კლასების მიხედვით. 2005 წლის მაისში შემუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმის მეორე ვარიანტი. ეს ვარიანტი ამჯერად გულისხმობდა შენიშვნების გათვალისწინებით შემუშავებულ სწავლისა და სწავლების ახალ პრინციპებს და საგნობრივ პროგრამებს ამჯერად უკვე I-XII კლასებისთვის. მეორე ვარიანტის შემუშავების შემდეგ დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდის ეტაპი.

ეროვნული სასწავლო გეგმები გამოიცდება საქართველოს 100 ქართულ, 10 რუსულ, 10 სომხურ და 10 აზერბაიჯანულენოვან სკოლაში. 2005-06 სასწავლო წელს გამოცდა მოხდა ქართულენოვან სკოლებში, I,VII,X კლასებში. 2006-07 სასწავლო წელს ქართულენოვან სკოლებში გამოიცადა II,VIII,IX კლასების, ხოლო არაქართულენოვან სკოლებში I,VII,X კლასების საგნობრივი პროგრამები. 2006-07 სასწავლო წლიდან დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა საქართველოს ყველა ქართულენოვან

სკოლაში. იმისთვის, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლა არაქართულენოვან სკოლებსაც შეეძლოთ სახელმძღვანელოები ითარგმნება აფხაზურ, ოსურ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. პირველ, მეშვიდე და მეთექვსმეტე კლასის სახელმძღვანელოების თარგმანების დაფინანსების გენერალური სპონსორია საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და ბანკი რესპუბლიკა. სასწავლო გეგმების გამოცდის (პილოტირების) და დანერგვის გრაფიკი მოცემულია ქვემოთ.

კლასი სასწავლო წელი	დაწყებითი						საბაზო			საშუალო		
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
2005-2006	A1/X	X	X	X	X	X	B1/X	X	X	C1/X	X	
2006-2007	A/Y1	A1/X	X	X	X	X	B/Y1	B1/X	X	C/Y1	C1/X	
2007-2008	Y	A/Y1	A1/X	X	X	X	Y	B/Y1	B1	Y	C/Y1	
2008-2009		Y	A/Y1	A1/X	X	X		Y	B/Y1	B1/C	Y	C/Y1
2009-2010			Y	A/Y1	A1/X	X			Y	B/Y1	B1/C	Y
2010-2011	a			Y	A/Y1	A1/X				Y	B/Y1	B1/C
2011-2012		a			Y	A/Y1	A1/B				Y	B/Y1
2012-2013			a			Y	A/Y1	A1/B				Y
2013-2014				a			Y	A/Y1	A1/B			
2014-2015					a			Y	A/Y1	A1/B		
2015-2016						a			Y	A/Y1	A1/B	
2016-2017							a			Y	A/Y1	A1/B
2017-2018								a			Y	Y1
2018-2019									a			Y

- X არსებული, ძველი სასწავლო გეგმა  
A1, B1, C1 ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდა ქართულენოვან სკოლებში  
Y1 ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდა არაქართულენოვან სკოლებში  
A, B, C ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ქართულენოვან სკოლებში
- Y ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა არაქართულენოვან სკოლებში  
a მოდიფიცირებული A ვარიანტი



## ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავება

ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავება 2004 წლის ზაფხულიდან დაიწყო. პირველად შემუშავდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. მიზნების შემუშავებაში ჩაერთო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მრჩეველთა საბჭო, შემდეგ უკვე საქართველოს თითოეული სკოლა. იმის შემდეგ, რაც საქართველოს ყველა მასწავლებელს ჰქონდა საშუალება გასცნობოდა პროექტს და საკუთარი შენიშვნები გამოეთქვა მის შესახებ, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. მიზნების თანახმად, საქართველოს სკოლადამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- ა) იყოს აქტიური მოქალაქე;
  - ბ) გარემოსთან ურთიერთობა;
  - გ) ინფორმაციასთან ურთიერთობა;
  - დ) დამოუკიდებლად ცხოვრება;
  - ე) შემოქმედებითობა;
  - ვ) შესაძლებლობების მუდმივი განვითარება;
  - ზ) ეფექტური კომუნიკაცია;
  - თ) კანონმორჩილება და ტოლერანტობა.
- ეროვნული სასწავლო გეგმა ამ მიზნების ერთერთი საშუალებაა და, შესაბამისად, მისი შემუშავებაც ამ მიზნებზე დაყრდნობით დაიწყო.

თავდაპირველად გამოიკვეთა მთავარი პრინციპები: ახალი სასწავლო გეგმა უნდა ყოფილიყო შედეგზე და თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპებშიც. სასწავლო გეგმის შემუშავება პირველად მოხდა საქართველოში ფართო წარმომადგენლობის (მასწავლებლები, მეცნიერები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირების) ჩართვის შედეგად. თითოეული საგნობრივი ჯგუფი, რომელიც სასწავლო გეგმის შედგენაზე მუშაობდა დაკომპლექტდა გამოცდილი მასწავლებლებით. თითოეულ ჯგუფთან შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ მასწავლებლები, მშობლები, მეცნიერები, გამომცემლობები და მოსწავლეები.

ექსპერტების ჯგუფები ინტენსიურად მუშაობდნენ საგნობრივი სტანდარტების შესაქმნელად. 2004 წლის დეკემბრისთვის I-XII კლასების სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია შემუშავდა, რომელიც საქართველოს სკოლებს დაურიგდათ განსახილველად. სასწავლო გეგმების ჯგუფმა 2005 წლის გაზაფხულისთვის მიიღო ასობით გამოხმაურება, წინადადება, კრიტიკა, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა სასწავლო გეგმის საპილოტე ვარიანტის შემუშავებისთვის.



## ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ეტაპები გულისხმობს: სასწავლო გეგმების გაცნობას მასწავლებლების მიერ, სასწავლო გეგმების პილოტირებასა და უკვე შემდეგ დანერგვას ყველა სკოლაში.

2005-06 სასწავლო წელს ჩატარდა ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირება საქართველოს 100 ქართულენოვან სკოლაში. ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირების ძირითადი მიზნები იყო:

- ადამიანური რესურსების მომზადება
- სახელმძღვანელოების მომზადება
- ეროვნული სასწავლო გეგმების დახვეწა

სასწავლო გეგმების დანერგვისთვის ნიადაგის მომზადება გულისხმობდა მასწავლებლების მომზადებას იმისთვის, რომ დანერგვის პროცესისას ამ ადამიანებს შეძლებოდათ საკუთარი გამოცდილების გაზიარება სხვებისთვის. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი იყო სახელმძღვანელოების მომზადება, რადგან მასწავლებლების უმრავლესობა სწავლებისას ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმძღვანელოებზე. მესამე მხრივ, აუცილებელი იყო სასწავლო გეგმის გამოცდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წინასწარ განგვესაზღვრა ის პრობლემები, რაც მასწავლებლებს შეხვდებოდათ მისი დანერგვისას.

### საპილოტე სკოლების შერჩევა

იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო მაქსიმალურად მრავალფეროვანი სურათი და სხვადასხვა მახასიათებლის მქონე სკოლიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინება მომხდარიყო, სკოლების შერჩევა მოხდა მათი გეოგრაფიული მდებარეობის და გამოცდილების მიხედვით. შეირჩა ასი სკოლა: მათ შორის:

	ქალაქი	სოფელი	მაღალმთიანი
გრანტირებული	10	1	2
ტრენინგ-გავლილი	24	26	5
ჯერ ტრენინგ-გაუვლელი	9	11	13
<b>სულ</b>	<b>43</b>	<b>38</b>	<b>20</b>

სკოლების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ისე, რომ საქართველოს ყველა რაიონში ყოფილიყო მინიმუმ ერთი სკოლა. პილოტირების პროცესში დაახლოებით 10,000 მოსწავლე და 3,000 მასწავლებელი მონაწილეობდა.



## ადამიანური რესურსების მომზადება

პილოტირების ერთერთი მიზანი იყო, 2006-07 სასწავლო წლისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვისთვის საქართველოს ყველა სკოლაში ნიადაგის მომზადება. ძირითადად იგულისხმებოდა დანერგვის ხელშემწყობი ადამიანური და სასწავლო რესურსების მომზადება. ამ დროისთვის საქართველოს ყველა რაიონში უნდა არსებულიყო მასწავლებლების ჯგუფი, რომლებსაც ექნებოდათ ახალი სასწავლო გეგმით სწავლების გამოცდილება და შემდგომად საკუთარი გამოცდილება



გაეზიარებინათ სხვებისთვის. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დასაწერად აუცილებელი იყო შესაბამისი სახელმძღვანელოების არსებობაც. ამიტომ უმნიშვნელოვანესი იყო პილოტირების პროცესში შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნის ხელშეწყობა.

2005-06 და 2006-07 სასწავლო წლების განმავლობაში, საპილოტე სკოლების მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიდნენ I,II,VII,VIII,X,XI კლასებში (ანუ იმ კლასებში სადაც ახალი სასწავლო გეგმა შევიდა) გადიოდნენ ინტენსიურ ტრენინგებს ახალი სასწავლო გეგმის დანერგვაში.

ტრენინგები ტარდებოდა დაწყებითის მასწავლებლებთან, როგორც ერთიან ჯგუფთან, ხოლო ზედა კლასის მასწავლებლებისთვის საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. ტრენინგები ორგანიზებული იყო შვიდ სატრენინგო ცენტრში. ცენტრი პირობითად ეწოდებოდა ერთერთ საპილოტე სკოლას, სადაც ტრენინგზე ჩამოდიოდნენ მიმდებარე რაიონების/რეგიონის სკოლები. სკოლები დაჯგუფებული იყვნენ შემდეგი პრინციპით.

სატრენინგო ცენტრი	რეგიონები
ბათუმი	აჭარა, გურია
ზუგდიდი	სამეგრელო, ზემო სვანეთი
ქუთაისი	იმერეთი, რაჭა, ქვემო სვანეთი
ახალციხე	სამცხე-ჯავახეთი
გორი	შიდა ქართლი
თბილისი	თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-თიანეთი
გურჯაანი	კახეთი

იმისათვის, რომ მასწავლებლებს ჰქონოდათ საშუალება ჩამოსულიყვნენ ტრენინგებზე, მათ უნაზღაურდებოდათ ტრანსპორტირების ხარჯები.

ტრენინგები, რომლებიც მონაწილეობდნენ საპილოტე სკოლების მომზადებაში, თავად არიან მასწავლებლები და ტრენინგებშიც შესაბამისი გამოცდილებაც აქვთ. ტრენინგების დიდი ნაწილი რამოდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ფარგლებში. მათგან ნაწილი ეროვნული სასწავლო გეგმების შემდგენელი ჯგუფებიდან შეირჩა. იმისთვის, რომ ტრენინგებს ჰქონოდათ საერთო შეხედულებები, საერთო მიზნები და ასევე ძირითადი აქცენტებისთვის ყოფილიყვნენ მომზადებულნი; ისინი ყოველი ტრენინგის წინ გადიოდნენ სატრენინგო თემებთან დაკავშირებით სპეციალურ ინსტრუქტაჟს. გარდა ამისა, ტრენინგები ხვდებოდნენ სასწავლო გეგმების სპეციალისტებს იმისათვის, რომ მათ ჰქონოდათ მკაფიო წარმოდგენა, თუ რა სიმძნელები იყო დაკავშირებული ახალ სასწავლო გეგმებზე გადასვლის დროს.

## საპილოტე სკოლების ტრენინგების თემები 2005-06 და 2006-07 სასწავლო წლებში

- პილოტირების პროცესის აღწერა
- ჯგუფური მუშაობის გაკვეთილის მიზანთან შესაბამისობისა და საჭიროების ანალიზი; ჯგუფური მუშაობის შეფასების ხერხები.
- შედეგზე ორიენტირებული სასწავლო გეგმის სტრუქტურის გაცნობა; რას გულისხმობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა; შესაბამისი ცვლილებები სწავლებისა და სწავლის დროს; საგნობრივი პროგრამების მიზნები, ამოცანები, სწავლის მიმართულებები, შედეგები და ინდიკატორები.
- წყვილებში მუშაობისა და შეფასების სხვადასხვა სტრატეგია; სწავლის მონიტორინგი და შეფასებასთან კავშირის გაანალიზება; თვითშეფასება და მოსწავლის განვითარება.
- თემების დაკავშირება შედეგებსა და ინდიკატორებთან; გაკვეთილის დაგეგმვა ინდიკატორებთან მიმართებით; სასწავლო მიზნებისა და სასწავლო აქტივობების შესაბამისობა;
- მოსწავლეების მხრიდან კითხვების დასმა, როგორც სასწავლო ხერხი; დისკუსიის წარმართვა; მასწავლებელთა თვითშეფასება; ტრენინგის შეფასება.
- სასწავლო მიზნის, აქტივობის, კლასის ორგანიზების, დროის მენეჯმენტის შესაბამისობის დადგენა; მოსწავლეებში ქცევითი უნარჩვევების განვითარება სასწავლო მიზნების მისაღწევად; მოსწავლეთა უნარჩვევების განვითარება და მასწავლებლის როლი ამ პროცესში;
- მე-8 და მე-11 კლასის სტანდარტების განხილვა. საგნობრივი პროგრამებისა და ახალი სახელმძღვანელოების შეჯერება და იმის გარკვევა, თუ რომელ ინდიკატორებს მიაღწევენ პირველი ტრიმესტრის განმავლობაში. თანასწორთა თანამშრომლობაში მონაწილე მასწავლებლის გამოცდილების ანალიზი და შეფასება.
- გამოცდილების გაზიარება და სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების გაუმჯობესება; მოსწავლეების მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებისათვის საჭირო სასწავლო სტრატეგიები; გაკვეთილის დაგეგმვა მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე.
- გამოცდილების გაზიარება. აქტივობების სხვადასხვა კატეგორიებად დახარისხება და მათი არსის გაგება. გაკვეთილის დაგეგმვის ცხრილის გახსენება და მისი პრაქტიკაში გამოყენება.
- მოსწავლეთა დიფერენციაციის სტრატეგიების გაცნობა და მისი მნიშვნელობის დადგენა; გაკვეთილების დაგეგმვა დიფერენციაციის საკითხების გათვალისწინებით.
- თანასწორთა თანამშრომლობაში მონაწილე მასწავლებლების გამოცდილების ანალიზი და შეფასება. პროექტის დაგეგმვის სტრატეგიები. პროექტის ზოგადი სტრუქტურა. პროექტი, როგორც სასწავლო მეთოდი.
- შემოწმების მიზნები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის; ტრიმესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები და მათი კავშირი შეფასებასთან; შეფასების 10 ქულიანი სისტემა.
- ჯგუფური მუშაობის განხილვა საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებით. პროექტების პრეზენტაციები. წარმოდგენილი პროექტების დახვეწისა და განვითარების სტრატეგიების გამოვლენა.
- მოსწავლეთა საერთო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლინება; შემაჯამებელი შეფასების მნიშვნელობა და საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეფასების ცხრილის შექმნის ტექნიკა; შეფასების სხვადასხვა სტრატეგიის გაცნობა მოსწავლეებზე.
- თანასწორთა თანამშრომლობაში მონაწილე მასწავლებლების გამოცდილების განხილვა. მიმდინარე შეფასების მიზნებისა და ამოცანების გახსენება და პრაქტიკული სამუშაოების შესრულება.
- პროექტების მიმდინარეობის ანალიზი და შეფასება.
- მოსწავლეების შეფასების სხვადასხვა სტრატეგიების ანალიზი, გაცნობა მოტივაციაზე; შემაჯამებელი გაკვეთილის დაგეგმვა და მისი შეფასება;
- გამოცდილების გაზიარება მოსწავლეთა დიფერენციაციის სკითხვებში. მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების დადებითი და უარყოფითი მხარეები. მასწავლებლის რეფლექსია.
- შემაჯამებელი გაკვეთილები. პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; ინფორმაციის მოპოვება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და გამოყენება;
- რეფლექსიის შედეგების ანალიზი და შეფასება. მოსწავლეთა მოტივაციის საკითხების განხილვა პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. სვოტ ანალიზი.
- მასწავლებლის პირადი განწყობის გაცნობა მოსწავლეებზე; დაკვირვების ცხრილის შედგენა; მიმდინარე შეფასების აუცილებლობისა და მნიშვნელობის დადგენა; მთელი კლასის ერთდროული სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები; სწრაფი შეფასების ხერხები მრავალრიცხოვან კლასებში.
- თანასწორთა თანამშრომლობაში მონაწილე მასწავლებლების გამოცდილების განხილვა. არჩევანისა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობის კავშირის ანალიზი. საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანად გამოყენების სტრატეგიების გაცნობა.

## სახელმძღვანელოების შემუშავება

სასწავლო გეგმის რეალიზებისას მასწავლებლები მნიშვნელოვნად არიან სახელმძღვანელოზე დამოკიდებულნი. შესაბამისად, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა აუცილებელი იყო ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის დაწყებისთვის.

სახელმძღვანელოებს საქართველოში კერძო გამომცემლობები გამოსცემენ, ბეჭდავენ და ავრცელებენ. სახელმძღვანელოების შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სხვა ხარისხის კრიტერიუმებთან ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სახელმძღვანელოების მრავალი გამომცემელია, მნიშვნელოვნად ჩაითვალა, რომ ახალი სახელმძღვანელოების შემუშავებისას მათ დახმარება უნდა გასწეოდათ. შესაბამისად, შემუშავდა ახალი სახელმძღვანელოს შექმნის პროცესი, რომელიც გამომცემლობის, ეროვნული სასწავლო გეგმების ჯგუფებისა და სკოლების ერთობლივ მონაწილეობას გულისხმობდა.

ა) გამომცემლობებთან ჩატარდა მრავალდღიანი ტრენინგი უცხოელი და ადილობრივი ექსპერტების მეშვეობით.

ბ) სახელმძღვანელოების პილოტირების პროცესში გამომცემლობა წარმოადგენდა წიგნების ნაწილებს, რომლებსაც ჯერ ეროვნული სასწავლო გეგმების ჯგუფი ამოწმებდა, იწერებოდა რეცენზიები და შემდეგ ურიგდებოდა საპილოტე სკოლებს. გამომცემლობები უფასოდ უბეჭდავდნენ საპილოტე სკოლების მოსწავლეებს სახელმძღვანელოების საპილოტე ვარიანტებს. გარკვეული პერიოდულობით ხდებოდა სახელმძღვანელოების ეფექტიანობის შემოწმება სკოლებში.

გ) იმ გამომცემლობებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდა სურვილი პილოტირებაში მონაწილეობა მიეღო, ჩატარდა კონკურსი სახელმძღვანელოების გრიფის მისაღებად.

## 2004-07 წლები; სემინარები სახელმძღვანელოების გამომცემლებისთვის

წელი	სემინარის საგანი	სემინარის წამყვანი
2004	მარკეტინგი, მშობლიური ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, მათემატიკა, ისტორია	შეილა ლემბი, დევიდ ჟაკი, ბობ რეინბოუ, პატრიცია ჰიდელსტოუნი, ჯონ ჰამერი
2005	რედაქტორები, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები	შარლოტა როლფე, ბრენდა სტოუნზი
2006	რედაქტორები, მარკეტინგი	დემიან ტუნაკლიფი, შეილა ლემბი
2007	როგორ ვასწავლოთ აზროვნება	ესგ და შეფასების ცენტრის ექსპერტები

სახელმძღვანელოების პილოტირებაში მონაწილეობისადმი გამომცემლობების ინტერესი ძალიან დიდია. განსახილველად შემოტანილი წიგნების რაოდენობა იმაზე მეტი აღმოჩნდა ვიდრე ამას სასწავლო გეგმების ჯგუფი ელოდა. ერთი მხრივ, ეს განაპირობა იმან, რომ სამ კლასში გამომცემლობებისთვის გამოჩნდა

თავისუფალი ბაზრის ნიშა, რომლის გადანაწილებასაც ისინი შეეცდებოდნენ და, მეორე მხრივ, როგორც ჩანს, გამომცემლობებმა ირწმუნეს, რომ ახალი თამაშის წესები, რომელთაც მას სახელმწიფო სთავაზობდა, სამართლიანი იქნებოდა.

სახელმძღვანელოების გრიფირების დინამიკა 2006-07 წლები, I,II,VII,VIII,X,XI კლასები

წელი	შესაფასებლად წარმოდგენილი სახელმძღვანელოები		დადებითი შეფასების მქონე (გრიფირებული)		% მაჩვენებელი	
	2005-06	2006-07	2005-06	2006-07	2005-06	2006-07
პილოტირება	159*	63	74	48	46	76
კონკურსი	49	54	17	29	37	54
სულ	208	117	91	77		

\*79 გავიდა პილოტირებაზე და 74-მა დაასრულა ის წარმატებულად

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა გამომცემლობებთან ნდობის ჩამოსაყალიბებლად. ჩატარდა მრავალი შეხვედრა, სადაც ხდებოდა სიახლეების განხილვა. გამომცემლობებმა მონაწილეობა მიიღეს სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში, რომლებიც საბოლოო ჯამში სახელმძღვანელოების გრიფირების წესში შევიდა. სახელმძღვანელოების განაწილება საპილოტე სკოლებში ხდებოდა გამომცემლობების უშუალო მონაწილეობით, რაც ერთერთი წინაპირობა იყო ნდობის გაძლიერების. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასწავლო გეგმებისა და შეფასების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეცენზიები მაქსიმალურად კორექტულად იყო შედგენილი და ორიენტირებული იყო დახმარებაზე.

გრიფირებისას ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ხელმძღვანელობდა საქართველოში მოქმედი სახელმძღვანელოების გრიფირების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 428-ე ბრძანება). გრიფირებისას არ არსებობს შეზღუდვა სახელმძღვანელოების რაოდენობაზე თითოეულ საგანში. 2004 წლამდე თითოეული კლასის თითოეულ საგანში მხოლოდ ორი ალტერნატიული სახელმძღვანელო არსებობდა.

#### გრიფირების მთავარი კრიტერიუმებია

##### ა) შინაარსობრივი გამართულობა

სასწავლო გეგმასთან, მოსწავლის ასაკთან, მეცნიერულ მიღწევებთან, მოსწავლის ინტერესებთან მიმართება

##### ბ) მეთოდური გამართულობა

სავარჯიშოები, მეთოდიკა, აქტივობები და სხვ.


##### გ) ტექნიკური გამართულობა

ილუსტრაციები, აკინძვა, შრიფტი და სხვ.

2005-07 წლებში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაწერილი და გრიფირებული სახელმძღვანელოები ეკუთვნის საქართველოში მოქმედ ოცდაათამდე გამომცემლობას.

გამომცემლობის დასახელება	სახელმძღვანელოების საერთო რაოდენობა I, VII, X კლასებში	სახელმძღვანელოების საერთო რაოდენობა II, VIII, XI კლასებში
1 აისი	1	1
2 არადანი		1
3 ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	10	9
4 ბუნება პრინტი	4	3
5 გაენათი		1
6 განათლება	2	1
7 დიოგენე	15	11
8 ეკონ. განათლ. და განვ. ცენტრი		1
9 ზენა		1
10 ინტელექტი	18	12
11 კლიო / კარი	1	
12 კონა	1	
13 ლეგა		1
14 ლოგოს პრესი	4	2
15 მერიდიანი	3	4
16 ოცდამეერთე	6	5
17 პოლიექსპრესი		1
18 პედაგოგიკა	1	1
19 საარი	1	1
20 საქართველოს მაცნე	13	9
21 სპექტრი	1	1
22 ტრიასი	1	1
23 უნივერსალი	1	1
24 ქართული რედაქცია		1
25 შემეცნება	2	2
26 ცისარტყელა	2	1
27 წყაროსთვალი	2	2
28 ჯისიაი / ქორბუდა	2	1
29 ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო		1

**I, II, VII, VIII, X, XI კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები**



როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, გრიფირებული 167 ახალ სახელმძღვანელოდან ოთხ უმსხვილეს გამომცემლობას: “ბაკურ სულაკაურის”, “დიოგენეს”, “ინტელექტსა” და “საქართველოს მაცნეს” გრიფირებული სახელმძღვანელოები შეადგენს 97 ერთეულს (58%), ხოლო დანარჩენი ჩვიდმეტი ერთად 70 სახელმძღვანელოს (42%)



2005-06 წლებიდან დაწყებული, ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით შექმნილი სახელმძღვანელოები თვისებრივად და მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი სახელმძღვანელოებისგან. ახალი სახელმძღვანელოები ზუსტად მიესადაგება მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს, რაც უცხო იყო ძველი სასწავლო გეგმებისა და მათ საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოებისათვის.

**ძირითადი განსხვავება ძველსა და ახალ სახელმძღვანელოს შორის**

**ძველი სახელმძღვანელო      ახალი სახელმძღვანელო**


<p><b>მოსწავლის თავისებურებები</b></p>	<p>ნაკლებად ითვალისწინებდა, გათვლილი იყო მეტად "ძლიერ" მოსწავლეებზე, ხშირად ასაკთან შეუსაბამო ტექსტი და სირთულე. სახელმძღვანელოს შინაარსი ხშირად მოწყვეტილი იყო მოსწავლეების ინტერესებს და რეალობას.</p>	<p>გათვალისწინებულია ყველა შესაძლებლობის მქონე მოსწავლე, ტექსტი, ილუსტრაციები, სავარჯიშოები შერჩეულია მოსწავლეების ასაკის, ინტერესების და წინასწარი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.</p>
<p><b>დიზაინი</b></p>	<p>სახელმძღვანელოს დიზაინი არსებით როლს არ თამაშობდა სწავლის პროცესში, ილუსტრაციები ხშირად დეკორატიული ხასიათისაა</p>	<p>სახელმძღვანელოების დიზაინი ხელს უწყობს სწავლას, ილუსტრაციების შერჩევა ხდება სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე და ხშირად სავარჯიშოების ნაწილიცაა</p>
<p><b>მასწავლებლის დახმარების საშუალება</b></p>	<p>სახელმძღვანელო არ ეხმარებოდა მასწავლებელს გაკვეთილის წარმართვაში, არ შეიცავდა მითითებებს მოსწავლეებისთვის აქტივობების შესახებ. ხშირად არ არსებობდა მასწავლებლის წიგნი.</p>	<p>სახელმძღვანელოები შეიცავს მრავალ სავარჯიშოს და აქტივობას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს თანამედროვე მეთოდებით სწავლაში. ყველა მოსწავლის წიგნს ახლავს თან მასწავლებლის სახელმძღვანელოც, რომელიც შეიცავს მეთოდურ მითითებებს.</p>



## სახელმძღვანელოები არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის

საქართველოში ფუნქციონირებს 39 რუსულენოვანი (10779 მოსწავლე), 104 აზერბაიჯანულენოვანი (23429 მოსწავლე) და 132 სომხურენოვანი (18872 მოსწავლე), რამოდენიმე ოსური და ათობით აფხაზური სექტორი სხვადასხვა სკოლაში. ამ სექტორის მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა საგანს რუსულ, სომხურ, ოსურ, აფხაზურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

რადგან დღევანდელი საქართველოს მასწავლებლები სწავლებისას მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული სახელმძღვანელოებზე, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისას გადამწყვეტ როლს შესაბამისი ახალი სახელმძღვანელოები თამაშობს. სპეციალურად არაქართულენოვანი სექტორისთვის საქართველოში ახალი სახელმძღვანელოების შექმნა პრობლემას წარმოადგენს. იმის გამო, რომ ბაზრის ეს სექტორი მცირე აუდიტორიას მოიცავს, გამომცემლობები ნაკლებად არიან დაინტერესებული ამ აუდიტორიისთვის სპეციალური სახელმძღვანელოს შექმნით. სწორედ ამის გამო გადაწყდა, რომ ქართულენოვანი მოსწავლეებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოები ითარგმნოს უმცირესობების ენებზე.



სახელმძღვანელოების თარგმანი საშუალებას იძლევა, ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში მოექცეს ნებისმიერი სკოლა, განურჩევლად სწავლების ენისა. პროექტის გენერალური სპონსორის ”საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის” და სპონსორის ”საქართველოს ბანკის” დახმარებით ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა 2006 წლის ზაფხულიდან დაიწყო ქართულენოვანი სახელმძღვანელოების თარგმნა აფხაზურ, ოსურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.



მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც არაქართულენოვანისკოლების მოსწავლეებს აქვთ განათლების ხარისხის მხრივ, ქართული ენის დაბალი დონის ცოდნაში ვლინდება. ამის მიზეზი მოძველებული სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელო-ები და მასწავლებლების კვალიფიკაციაა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით 2005-06 წლებში

შექმნა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის ქართულის სასწავლო სახელმძღვანელო-ნელო “თავთავის” პირველი ორი ნაწილი. სახელმძღვანელო განკუთვნილია ძირითადად 12-17 ასაკის მოსწავლეებისთვის, თუმცა ეფექტიანი საშუალებაა ასევე ქართულის შესწავლით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. სახელმძღვანელო შედგება მასწავლებლის წიგნის, მოსწავლის წიგნისა და რვეულისაგან. სახელმძღვანელოს ასევე მოჰყვება შეფასების ჟურნალი. სახელმძღვანელო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაეგზავნა ყველა არაქართულენოვან სკოლას 2005-06 წლებში.

2005-06 წელს შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო გეგმა მათთვის, ვისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის. აქცენტი სასწავლო გეგმაში ენის კომუნიკაციურ ფუნქციაზე კეთდება. 2006 წლიდან დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება საქართველოს 30 არაქართულენოვან სკოლაში. პილოტირებას თბილისის ათი რუსულენოვანი, ქვემო ქართლის ათი აზერბაიჯანულენოვანი და სამცხე-ჯავახეთის ათი სომხურენოვანი სკოლა გადის.

## ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა საქართველოს ყველა ქართულენოვან სკოლაში დაიწყო 2006 წლის სექტემბერში. დანერგვის ეფექტიანობისთვის შემუშავდა შემდეგი ძირითადი მიდგომები:

- საქართველოს ყველა მასწავლებელს, რომელიც მონაწილეობს პირველ, მეშვიდე და მეთექვრმე კლასებში ახალი სასწავლო გეგმების დანერგვაში, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გაიაროს ტრენინგი ახალი სასწავლო გეგმების დანერგვის მეთოდოლოგიაში;
- საპილოტე სკოლების მასწავლებლებმა, რომლებიც ამ მისიისთვის სპეციალურად შეირჩევა ახალი სასწავლო გეგმის დანერგვის გამოცდილება უნდა გაუზიარონ (მოხდეს ფასილიტაცია) სხვა სკოლებს;
- ტრენინგებისა და ფასილიტაციის და ასევე სხვა სახის ინფორმაციის ორგანიზებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს განათლების რესურს ცენტრები. შესაბამისად, მოხდა მათი სპეციალურად მომზადება ამ მისიისთვის;
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს უნდა ჰქონდეს პირდაპირი კავშირი ყველა სკოლასთან. ამის მიღწევა ხდება თვეში ორჯერ, საინფორმაციო ბიულეტენის, "დიალოგის" მეშვეობით;
- ტრენინგები და ფასილიტაცია უნდა ტარდებოდეს მაქსიმალური ტერიტორიული მოცვის პირობებში იმისთვის, რომ მათზე დასასწრებად მასწავლებლებს არ მოუწიოთ მაღალი ხარჯების გაწევა ტრანსპორტირებისთვის;
- დანერგვის პროცესის წარმატებულობის გაზომვა უნდა მოხდეს მრავალმხრივი კვლევისა და მონიტორინგის გზით.

### მასწავლებლების მომზადება ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვისთვის

იმისთვის, რომ მასწავლებლებს არ გასჭირვებოდათ ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება, ეროვნული სასწავლო გეგმის პირველადი ორი ვარიანტი გაიგზავნა საქართველოს სკოლებში 2005 და 2006 წლებში. 2006-07 წელს დაიწყო სასწავლო გეგმების დანერგვა ყველა სკოლაში. მასწავლებლების მოსამზადებლად მიმდინარეობდა ორი პარალელური პროცესის მეშვეობით:

1. წლის განმავლობაში 8-ჯერ, საქართველოს ნებისმიერ მასწავლებელს ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის გამოცდილი ტრენინგების მიერ ჩატარებულ სემინარებს.
2. წლის განმავლობაში 8-ჯერ, საქართველოს ნებისმიერ მასწავლებელს შეეძლო შეხვედროდა იმ მასწავლებლებს, რომლებმაც ერთი წლით ადრე, 100 საპილოტე სკოლაში დაიწყეს ახალი სასწავლო გეგმებით სწავლება და რომლებმაც სპეციალური სატრენინგო კურსი გაიარეს. ეს მასწავლებლები (ფასილიტატორები) საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ სხვა მასწავლებლებს, ეხმარებოდნენ პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში და სხვ.



ორივე ტიპის სემინარები იყო მასწავლებლებისთვის უფასო. სემინარები ორგანიზებული იყო საქართველოს უკლებლივ ყველა რაიონში იმისთვის, რომ მასწავლებლებს ტრანსპორტირების პრობლემები არ შექმნოდათ.

მასწავლებლებს იშვიათად აქვთ საშუალება, რომ საკუთარი კითხვებით სასწავლო გეგმებისა და შეფასების სპეციალისტებს მიმართონ. ამ პრობლემის დასაძლევად შემუშავდა საინფორმაციო ბიულეტენი (გაზეთი - პირობითად) "დიალოგი". დიალოგი შეიცავს მასწავლებლების, დირექციის, მოსწავლეებისა და მშობლების კითხვებზე ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სპეციალისტების მიერ მომზადებულ პასუხებს. გაზეთი მიეწოდება უკლებლივ ყველა სკოლას უსასყიდლოდ. კითხვებზე პასუხი დიალოგის ძირითადი ტექსტია, თუმცა გაზეთი შეიცავს ასევე სასარგებლო რჩევებს და მეთოდების აღწერას მასწავლებლებისთვის.

2006-07 სასწავლო წლის განმავლობაში დიალოგის 16 ნომერი გამოვიდა. დიალოგის, როგორც კომუნიკაციის წარმატებული ფორმაზე, მეტყველებს სკოლებიდან მოსული ათასამდე კითხვა, რომლებსაც პასუხი გაეცა, სკოლების მოთხოვნა გაზეთის ტირაჟის გაზრდაზე, სკოლებში ვიზიტისას ნანახი გამოკრული გაზეთის ნომრები და სხვ. დიალოგის მეშვეობით მოხერხდა სწავლების თუ სკოლის მართვის მრავალი ახალი პრინციპის უკეთ გაცნობიერება, საკამათო საკითხის გადაწყვეტა თუ სხვ.



დიალოგის გამოცემის გაგრძელება დაგეგმილია მომავალშიც. შექმნილია დიალოგის ელექტრონული ვერსია, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ვებ-გვერდის ([www.ganatileba.org](http://www.ganatileba.org)) საშუალებით ვრცელდება. ვებ-გვერდის მეშვეობით შესაძლებელია ასევე კითხვების მოწოდება და შესაბამისი პასუხების მიღებაც.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის თანამშრომლებმა არანაკლები ისწავლეს დიალოგის მეშვეობით, ვიდრე სკოლების წარმომადგენლებმა. დიალოგის მეშვეობით მოხდა მრავალი დეტალის ახლებური გააზრება, მრავალი პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის მრავალი გზის მოძიება.



## ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კვლევა და მონიტორინგი

2005-07 წლებში, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირების მონიტორინგი და, მეორე მხრივ, იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს პირობებში სწავლისა და სწავლების შედეგებზე. კვლევა გულისხმობდა მოსწავლეების შედეგების, მასწავლებლების საქმიანობის, სწავლების პროცესში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფების წარმოდგენების და სახელმძღვანელოების შესწავლას. ძირითადი კვლევის ობიექტია საპილოტე სკოლები, მაგრამ ხდება გარკვეული მონაცემების შეგროვება საქართველოში მიმდინარე სხვა კვლევებთან (ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული საერთაშორისო შეფასებები PIRLS, TIMMS).

კვლევებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა სპეციალურად მოამზადა სპეციალისტები და ჩართო სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკას გადაიან შეფასების ჯგუფთან.

იმის გამო, რომ 2006-07 სასწავლო წელს დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა საქართველოს ყველა სკოლაში, და როგორც უკვე აღინიშნა დაიწყო ფართომასშტაბიანი ტრენინგები, ტრენინგებზე მასწავლებლების მონაწილეობა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა. ჩვენი მიზანია, რომ დროულად გავიგოთ მასწავლებლების დამოკიდებულება ტრენინგებისადმი იმისთვის, რომ მოხდეს დროულად მისი მიმდინარეობის კორექტირება.

კვლევების შედეგების გათვალისწინება მოხდა:

ა) სასწავლო გეგმების დახვეწისას - მაგ. კვლევების შედეგად გაუმჯობესდა შეფასების სისტემა, მეტი აქცენტი კეთდება ინტეგრირებული სწავლების კუთხით და სხვ.

ბ) სასწავლო მასალების დახვეწისას - სახელმძღვანელოების კვლევების ერთი ნაწილი გადაეცათ გამომცემლობებს, მეორეს მიხედვით ჩატარდა კონკრეტული სახელმძღვანელოების გამომცემლობებთან კონსულტაციები და მომზადდა გამომცემლობებისთვის სემინარი, რომელიც მიემდვნა მოსწავლეებში აზროვნების გასავითარებელ აქტივობებს.

გ) მასწავლებლების სატრენინგო პროგრამების გასაუმჯობესებლად. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ტრენინგების შინაარსი, ფორმა და თანამიმდევრობა დაიხვეწა და უფრო შედეგიანი გახდა მასწავლებლებისთვის.



2005-07 წლის კვლევების დეტალური ანგარიში გამოქვეყნებულია და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი მოგაწვდით მას თქვენი დაინტერესების შემთხვევაში.

## ინკლუზიური განათლების დანერგვა

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტთან პარტნიორობით, ნორვეგიის მთავრობის ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით ახორციელებს "ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტი თბილისის 10 სკოლისთვის".



პროექტის მომზადება მიმდინარეობდა 2005-06 წლებში. კონსულტაციები ჩატარდა საქართველოში ინკლუზიის სფეროში ჩართული მრავალ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. 2006 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შორის. გრანტის მოცულობა მნიშვნელოვან დახმარებას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ დაფინანსებასთან ერთად ამ

პროექტის წარმატებით დასრულებისთვის. ნორვეგიის სახელმწიფო გარდა პირდაპირი დაფინანსებისა მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს ამ სფეროში: საზაფხულო სკოლაში ყოველ ზაფხულს მიყავს რამოდენიმე ქართული სპეციალისტი. 2007 წლიდან ოსლოს უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ისწავლიან ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთ ცოდნას მომავალში საქართველოში ინკლუზიურ განათლების განვითარებას მოახმარენ.

პროექტის ძირითადი შედეგები იქნება:

ა) ინკლუზიური განათლების პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება. აქ იქნება გათვალისწინებული ის ძირითადი მიდგომები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ უნდა განხორციელდეს ინკლუზიურ პრინციპებთან მიმართებით.

ბ) ინკლუზიური განათლების დანერგვის ინსტრუმენტების შემუშავება. მომზადდება სატრენინგო მასალები და ტრენერები, რომელთა გამოყენებითაც პროექტის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ინკლუზიური განათლების პრინციპების საქართველოს მასშტაბით გავრცელება.

გ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. საზოგადოება იქნება უფრო ინფორმირებული და უფრო დადებითად განწყობილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩვეულებრივ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის იდეის მიმართ.

## სხვა პროექტები

### სკოლების ბიბლიოთეკების შევსების პროექტი

2003-04 წლებში ჩატარებულმა შეფასებებმა აჩვენეს, რომ დაწყებით საფეხურზე კითხვის უნარის განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს. წლების განმავლობაში, სასკოლო ბიბლიოთეკებში არ ხდებოდა ახალი საკითხავი მასალების შევსება.

2005 წელს გადაწყდა დაწყებითი საფეხურის ასაკის ბავშვებისთვის შერჩეულიყო წიგნები, რომლებიც გაიგზავნებოდა სკოლებში. შეირჩა სოფლის სკოლები იმის გამო, რომ აქ მოსწავლეებს და სკოლას ყველაზე ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, რომ თავად შეიძინონ წიგნი. შერჩევისას გათვალისწინებული იყო კრიტერიუმები: ასაკთან შესაბამისობა, საგანმანათლებლო მნიშვნელობა, საგამომცემლო ხარისხი და ფასი. თითოეულ სკოლას ეგზავნება 1000 ლარიანი პაკეტი, რომელშიც 120-მდე წიგნი შედის. შერჩევაში მონაწილეობდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, მასწავლებლების განვითარების ცენტრი, სკოლის ბიბლიოთეკარი და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი.



2006 წელს წიგნები გაიგზავნა 560 სკოლაში, 2007 წელს კი დამატებით 680-მდე სკოლაში (კონფლიქტური ზონების სკოლების ჩათვლით).

### ფრინველის გრიპის პრევენცია

UNICEF საქართველოს წარმომადგენლობის ინიციატივით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ფარგლებში შემუშავდა სასწავლო გეგმა ფრინველის გრიპის პრევენციასთან დაკავშირებით. 2007 წლის გაზაფხულზე, საქართველოს ყველა სკოლაში ჩატარდა საინფორმაციო გაკვეთილი, მოსწავლეებმა დახატეს კალენდრები ფრინველის გრიპთან დაკავშირებით და სკოლებს შორის გაცვალეს.

### საექსკურსიო სასწავლო გეგმები

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ტურისტული კომპანია ინტერტურისტისთვის შექმნა საექსკურსიო სასწავლო გეგმები. ამ სასწავლო გეგმებისა შესაბამისად მოსწავლეებს, რომლებიც ამ კომპანიის სერვისით ისარგებლებენ, შეეძლება უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და, რაც მთავარია, უფრო მეტად საგანმანათლებლო ექსკურსიების გამოცდილება შეიძინონ.



## საგანმანათლებლო ფილმების სერია



იმისთვის, რომ მასწავლებლებისთვის უფრო თვალსაჩინო იყოს ის მეთოდები, რომელთა დანერგვა აუცილებელია, ეროვნული სასწავლო გეგმების პარალელურად, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა შეიმუშვა საგანმანათლებლო ფილმების სერია "მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება". 2007 წლის სექტემბრისთვის ცხრა ასეთი ფილმი ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს სკოლებისთვის.

ფილმები განკუთვნილია დღევანდელი და მომავალი მასწავლებლებისთვის და მათი გამოყენება მოხდება, როგორც დამხმარე მასალა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის. მასწავლებლებს ექნებათ საშუალება საკუთარ სკოლაშივე ნახონ ეს ფილმები, განიხილონ ამ ფილმებში აღწერილი სიტუაციები, გამოიტანონ დასკვნები საკუთარ პრაქტიკაზე და იმსჯელონ მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების დანერგვის სხვადასხვა შესაძლებლობაზე.



ფილმები გადაღებულია საქართველოს სკოლებში, ასახავს საქართველოს რეალობას და საქართველოს მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობების პრაქტიკას. ფილმების გადაღება დაგეგმილია მომავალშიც.

**ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ძირითადი თანამშრომლები**

თანამშრომელი	საქმიანობა	განათლება	გამოცდილება
სიმონ ჯანაშია	ცენტრის დირექტორი	ჰარვარდის უნივერსიტეტის, განათლების სკოლა - MA; თსუ - ისტორიის ფაკულტეტი	ამერიკული აკადემია თბილისში; ქართული სასწავლებელი; თსუ - საქ. ისტორიის კათედრა
ნიკა მალაზონია	პროექტების მენეჯერი	ჰამბურგის ეკონომიკური კოლეჯი; კრისტინ ალბრეხტის უნივერსიტეტი; სტუ- საერთაშორისო სამართალი	CENN ESCA Selected Sound GmbH & Co KG
ნატალია გომიაშვილი	ფინანსური მენეჯერი	ACCA, - საერთაშორისო ბუღალტერთა ასოციაციის წევრი UK - აკრედიტ. ფინანსისტი თსუ - ფიზიკის ფაკულტეტი	სახელმწიფო კანცელარია, თბილკომბანკი, განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
მანანა კვიციანი	თანამშემწე, ხარისხის მენეჯერი	თსუ - დ/ე ფაკულტეტი - ანგლისტიკა, MA, BA;	Lingua House
შორენა სამაგლიშვილი	შეფასების მიმართულების კოორდინატორი	თსუ, ფსიქოლოგიის ფაკულტ. კოლუმბიის უნივერსიტეტი, სოციალური მეცნიერებები - MA PhD ფსიქოლოგიაში	თსუ, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, სოც. სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა Every Child, World Vision
ნანა დალაქიშვილი	დანერგვის მიმართულების კოორდინატორი	თსუ - ბიოლოგიის ფაკულტეტი. სთრატოვსკის უნივერსიტეტი გარემომცოდნეობის სასერთიფიკაციო კურსი	12 3-ე საჯარო სკოლა ცენტრ. მასწ. კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრ. ინსტიტუტი OSGF
თამარ ჯაყელი	ჰუმანიტარული მიმართულების კოორდინატორი	თსუ დ/ე ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ფრანგული ენა და ლიტერატურა	მე-12 სკოლა;
თინათინ სალაყაია	საბუნებისმეტყველო - მათემატიკის მიმართულების კოორდინატორი	თსუ - ბიოლოგიის ფაკულტეტი. PhD - ბიოლოგიაში სთრატოვსკის უნივერსიტეტი გარემომცოდნეობის სასერთიფიკაციო კურსი	123-ე საჯარო სკოლა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროექტი
თათია პაჭკორია	ინკლუზიის მიმართულების კოორდინატორი	თსუ - ფილოლოგიის ფაკულტ.	ა. ვირსლანდის სახ. ხელოვნების სკოლა; ECHO/Caritas Denmark
ანი ქიტიაშვილი	სახელობო განათლების მიმართულების კოორდინატორი	თსუ - ფსიქოლოგიის ფაკულტ.; ედინბურგის უნივერსიტეტი MSc PhD ფსიქოლოგიაში	თსუ - ხარისხის მართვის დეპარტამენტი; თსუ - ფსიქოლოგიის დეპარტამენტი გლობალური ინიციატივა ფსიქოლოგიაში
ზაქარია გიუნაშვილი	მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ისტ. პროექტის მენეჯერი	თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი	Yokohama City University: Post-Doc. შავი ზღვის საერთ. უნივერსიტეტი ა. რაზმაძის მათ. ინსტიტუტი
ეკატერინე კორძაძე	მათემატიკის ექსპერტი	თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი	სტუ - "პოლიტექნ. ინტელექტი" 149 - ე საშუალო სკოლა
ლაშა კოკილაშვილი	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულების ხელმძღვანელი	სიმონს კოლეჯი, განათლების მეცნიერების ფაკულტეტი MA; PhD ფიზიკა-მათემატიკაში თსუ, მათემატიკის ფაკულტეტი	ამერიკული აკადემია თბილისში, ფონდი "ირმის ნახტომი" თსუ მექანიკა მათემატიკის ფაკულტეტი
გიორგი ზედგინიძე	საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულების ხელმძღვანელი	ჰარვარდის უნივერსიტეტის, განათლების სკოლა - MA; CEU- MA; თსუ - უცხო ენების და ლიტერატურის ფაკულტეტი თსუ - ისტორიის ფაკულტეტი	თსუ ,ისტორიის ფაკულტეტი "აღმოსავლეთის სწავლული"
გიორგი გახელაძე	სამოქალაქო განათლების, შეფასების ექსპერტი	თსუ ფიზიკის ფაკულტეტი ამერიკული განათლების აკადემია, სოციალური პოლიტიკის დაგეგმვა და განვითარება, AED	თბილისის 49-ე საჯარო სკოლა გაზეთი "24 საათი"
მანანა რატიანი	გეოგრაფიის ექსპერტი, პროექტ "დიპლომის" მენეჯერი	თსუ, გეოგრაფია -გეოლოგიის ფაკულტეტი. PhD - გეოგრაფიაში	თსუ, გეოგრაფიის ფაკულტეტი თსუ, სამეცნიერო ჟურნალი "საქართველოს გეოგრაფია"
კახა გაბუნია	ქართულის მიმართულების ხელმძღვანელი	თსუ, ფილოლოგიის ფაკულტ. Phd. - ფილოლოგიაში	ენათმეცნიერების ინსტიტუტი; საქ. ენის სახელმწიფო პალატა; თაიმ; თსუ

ნინო დობორჯგინიძე	ქართულის ექსპერტი	თსუ - ფილოლოგიის ფაკულტეტი	ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი; თსუ, ფილოლოგიის ფაკულტეტი
ბუბა ოჩიაური	ესთეტიკის და სპორტის მინისტრის ხელმძღვანელი	ი. ნიკოლაძის სამხატვრო სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ფაკულტეტი	12 3-ე საჯარო სკოლა სტუ. არქიტექტურის ფაკულტეტი ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო UNICEF
რუსუდან თაყაიშვილი	მუსიკის ექსპერტი	ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია დ. არაყიშვილის სამუსიკო სასწ. PhD პედაგოგიკაში	თბილისის სამუსიკო კოლეჯი წმ. გიორგის საერო სკოლა გ. რამიშვილის საავტორო სკოლა
კვა სლოვინსკი	ბუნებისმეტყველების მინისტრის ხელმძღვანელი	თსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტი	123-ე საჯარო სკოლა სულხან საბა-ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი
ნათია სალინაძე	ქიმიის ექსპერტი	თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი	ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი სასერტიფიკაციო კურსი ინოვაციური მეთოდებით სწავლება გ. რამიშვილის საავტორო სკოლა
მარიკა კაპანაძე	ფიზიკის ექსპერტი, გამოცემების პროექტის მენეჯერი	თსუ, ფიზიკის ფაკულტეტი PhD ფიზიკა-მათემატიკაში შტუტგარტის ვალდორფპედაგოგიის უმაღლესი სკოლა	ბიოფიზიკის ინსტიტუტი შტუტგარტის უნივერსიტეტი თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა
თეა ბერძენიშვილი	შეფასების ექსპერტი, შეფასების პროექტის მენეჯერი	თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტი	გაეროს ასოციაციის სკოლა დეზატების საერთაშორისო ასოციაცია IDEA "ზავში და გარემო"
მზია წერეთელი	შეფასების ექსპერტი	თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტი PhD ფსიქოლოგიაში	თსუ - სოც. და პოლიტ. მეცნ. ფაკულტეტი
მარიკა სიხარულიძე	გერმანულის ექსპერტი	უცხო ენათა ინსტიტუტი- გერმანული ენის ფაკულტეტი; "ხაზბროიუკენის უნივერსიტეტი-გერმანისტიკის ფაკულტეტი	27-ე საავტორო სკოლა "ახალი ქართული გაზეთი"
გულნარა (მარინა) ჩხიკვაძე	ინგლისურის ექსპერტი, უცხო ენების დისტანციური სწავლების პროექტის მენეჯერი	თსუ - დ/ე ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ინგლისური ენა და ლიტერატურა	თბილისის პირველი საჯარო სკოლა საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია (ETAG)
ანა მხეიძე	რუსულის ექსპერტი	თსუ - რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი	მე-6 საავტორო სკოლა
ნინო გორდუზიანი	ლოჯისტიკის სპეციალისტი, ტრენინგების პროექტის მენეჯერი	საუ - ბიოლოგია; TACIS - პროექტის მენეჯმენტი და მარკეტინგი	თსუ; სახელმწიფო აბრეშუმის მუზეუმი
თამაზ ლაითაძე	ლოჯისტიკის სპეციალისტი	სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი. თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, იურიდიული ფაკულტეტი.	კინოსტუდია "კვალი"
ია ამირიძე	ბიბლიოთეკის სპეციალისტი; სახელმძღვანელოების თარგმნის პროექტის მენეჯერი	თსუ. დ/ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი სამხატვრო აკადემია ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ.	თცსს-ის ბიბლიოთეკარი; თსუ-ს ახალციხის ფილიალის ლექტორი.
მარიამ ბერძენიშვილი	ბიბლიოთეკის სპეციალისტი; სახელმძღვანელოების პილოტირების პროექტის მენეჯერი	თსუ - ფილოლოგიის ფაკულტეტი (კლასიკური ფილოლოგია); ჰამბურგის უნივერსიტეტი - MA(ანტიკური ლიტ. ისტორია)	ბსუ
ლევან ახვლედიანი	საგანმანათლებლო ფილმების პროექტის მენეჯერი	თსუ - აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი	მე-20 საჯარო სკოლა თსუ
ინგა ზურაბიანი	ფინანსისტი	თსუ-მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, MA ACCA-Professional Certification United Nations Curriculum ESM-Tbilisi- Management of Corporative Finance თსუ- სამართალმცოდნეობა	სტუდენტური ორგანიზაცია (NGO) FINCA Georgia

**ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის აქტივობების ბიუჯეტი**

	დაფინანსების წყარო	2005	2006	2007	სულ
ტრენინგები (პილოტირება, ფასილიტაცია, არაქართულენოვანების პილოტირება, გამომცემლობების ტრენინგები, ვორკშოპები, ტრენინგების მონიტორინგი და სხვ.)	საქართველოს ბიუჯეტი / მსოფლიო ბანკის კრედიტი	112,810.00	953,906.00	247,764.00	1,314,480.00
ბიბლიოთეკების შევსების პროექტი	საქართველოს ბიუჯეტი / მსოფლიო ბანკის კრედიტი		626,012.00	644,789.00	1,270,801.00
სასწავლო გეგმების შემუშავება, დახვეწა, კვლევები და ა.შ. (თამშრომლების - ძირითადი და არაძირითადი შტატის ხელფასები)	საქართველოს ბიუჯეტი / მსოფლიო ბანკის კრედიტი	332,979.45	1,139,384.00	181,663.00	1,654,026.45
საგანმანათლებლო ფილმების პროექტი (ხელფასი+ფილმების გადაღება+დისტრიბუცია)	საქართველოს ბიუჯეტი / მსოფლიო ბანკის კრედიტი			141,569.00	141,569.00
სახელმძღვანელოების თარგმანები (რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე)	გენერალური სპონსორი "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" სპონსორი "ბანკი რესპუბლიკა"			218,818.00	218,818.00
გაზეთი "დიალოგი"	საქართველოს ბიუჯეტი / მსოფლიო ბანკის კრედიტი			6,000.00	6,000.00
პუბლიკაციები	საქართველოს ბიუჯეტი / მსოფლიო ბანკის კრედიტი		50,000.00	100,000.00	150,000.00
ინკლუზიის პროექტი	ნორვეგიის მთავრობა / საქ. ბიუჯეტი			25,571.64	25,571.64
ფრინველის გრიპის პროექტი	UNICEF			8,640.00	8,640.00
საოპერაციო ხარჯები	საქართველოს ბიუჯეტი / მსოფლიო ბანკის კრედიტი			188,235.00	188,235.00
<b>სულ</b>					<b>4,978,141.09</b>

მონაცემები ნაჩვენებია 2007 წლის ივნისის ჩათვლით.